ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 აგვისტო, შაბათი, 1989 წ.
№ 160 (10 079) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



წყალთხილამურები ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის პოპულარული სახეობა გახდა.

## პროფკავშირთა პირველობებზე

### ● ფეხბურთი

**საინტერესო** შეჯიბრებაა პროფკავშირების წფსს ცენტრალური საბჭოს საკავშირო პირველობა ფეხბურთში ჭაბუკთა შორის, რომლის ნახევარფინალური თამაშები ქ. ფრუნზეში ჩატარდა. იქ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებ გუნდთან ერთად იბრძოდნენ თურქმენეთის, ტაჯიკეთის, რსფსრ-ს და ყირგიზეთის ნაკრები გუნდები.

საქართველოს ნაკრებმა თანმიმდევრულად დაამარცხა ტაჯიკეთის (3:1), თურქმენეთის (8:0), რსფსრ-ის (1:0) გუნდები და ამიტომაც მის შეხვედრას ყირგიზეთის ნაკრებთან არ ჰქონდა პრაქტიკული მნიშვნელობა. იგი მოიგეს ყირგიზმა ჭაბუკებმა — 3:2.

ჩვენმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება, სადაც მათთან ერთად იასპარეზებენ სხვა ზონებში გამარჯვებული გუნდები. შეჯიბრება გაიმართება 18-30 ოქტომბერს.

საქართველოს ნაკრები გუნდი განვლილი შეჯიბრებისთვის მოამზადეს შ. პატარაიამ, ჯ. ელაშვილმა და ზ. ჩახავამ.

**შოთა ხანიაშვილი,**
**პროფკავშირების წფსს რესპუბლიკური საბჭოს უფროსი ინსტრუქტორი.**

### ● კრივი

**ოთხმა** ქართველმა მოკრივემ მოიპოვა საპრიზო ადგილი პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოს ზონალურ პირველობაში. თელაველი ზურაბ ტოსტიაშვილი მეორე იყო, ჯაბა ცუხიშვილი; ნიკოლოზ სუხიშვილი (ორივე — თბილისი) და ემელიან ჰელეხიძე (ქუთაისი) — მესამეეს შეჯიბრება ქ. კუსტანაიში ჩატარდა.

### ● მშვილდოსნობა

**ქართველ** მშვილდოსანთა რიგებს ემატებიან პერსპექტიული სპორტსმენები. ასეთი განცხადების უფლებას გვაძლევს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო პირველობის ფინალური ასპარეზობა უმცროს ასაკში (1971 წ). საქართველოს გუნდმა აქ პირველი ადგილი დაიკავა. პირად პირველობაში III საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ბათუმელები თამაზ ბასილაძე და ასმათ დიასამიძე. ორივე სპორტსმენმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

### ● ჭადრაკი

**შესანიშნავად** ითამაშა საგარეჯოელმა მოჭადრაკემ ეკა ტაბატაძემ ვანში დამთავრებულ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პირველობაზე, რომელსაც კურორტი ამაღლება მასპინძლობდა. მან შეჯიბრება (იგი წრიული სისტემით ჩატარდა) დაუმარცხებლად განვლო და 15 შესაძლებლიდან 14,5 ქულით დამსახურებულად დაიკავა I ადგილი.

გამარჯვებულს ოთხი ქულით ჩამორჩა თეა ბერაია (ფოთი), III ადგილს 9,5 ქულით დაეუფლა ქუთაისელი ნინო თევზაძე.

შეჯიბრების დებულების თანახმად I-II ადგილებზე გასულნი მონაწილეობას მიიღებენ ანალოგიურ საკავშირო ტურნირში.

**ზურა ქეზაძე,**
**შეჯიბრების მსაჯი.**

## „ფაზისი-პეპსი" მზად არის რბოლისათვის

**ლონდონი.** სულ უფრო ცოტა დრო რჩება მეხუთე საერთაშორისო რეგატის „უიტბრედის" სტარტამდე, რომლის მონაწილეებმა ტრადიციულად მსოფლიოს უნდა შემოუარონ ცალქნიანი ნავებით. ჰემპშირის საგრაფოს ქალაქ ჰამბლში წინასასტარტო სამზადისი მიმდინარეობს, რომელშიც აქტიურადაა ჩაბმული საბჭოთა იახტაც „ფაზისი — პეპსი".

ამ ნავს ტყუილად როდი აქვს ორმაგი სახელწოდება. ამერიკული კორპორაცია „პეპსი" ეკიპაჟის სავალუტო სპონსორი გახლავთ. კორპორაცია ამ ურთიერთკავშირს საბჭოთა ნავთან განიხილავს, როგორც აშშ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის ერთ-ერთ გამოვლინებას. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო, რომ წყალში ჩაშვების ცერემონიალზე ნავზე საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ალმები ფრიალებდა.

ეკიპაჟის მწვრთნელმა ვალერი ჩუმაკოვმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „მართალია სამშენებლო სამუშაოები ეს-ეს არის დავამთავრეთ, ნავმა ერთ შეჯიბრებაში მონაწილეობა უკვე მიიღო და უნდა ითქვას, რომ საკმაოდ კარგი თვისებებიც გამოამჟღავნა." „ფაზის-პეპსიზე" იმყოფებოდნენ უცხოელი ჟურნალისტები, რომლებიც აღფრთოვანებული დარჩნენ ნავის ხარისხით.

საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ სპეციალისტები და პრესა ჩვენი ნავისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ. ერთმა სპეციალისტმა კი „ფაზისი-პეპსი" მილიონნახევარ გირვანქა სტერლინგად შეაფასა. ასეთ შემთხვევაში ფასს განსაზღვრავს არა მასალათა ღირებულება, არამედ პროექტის ორიგინალურობა და შესრულების ხარისხი. უცხოელების აზრით ეს უნიკალური ნავი გახლავთ, რომლის მსგავსი არ მოიძებნება მსოფლიოში.

ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში

## რა ხდება „ევროპულ აუზში"

**ბონი.** აქ გრძელდება ევროპის ჩემპიონატი ცურვაში, წყალში ხტომაში, წყალბურთსა და სინქრონულ ცურვაში.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ სინქრონისტთა ტურნირში თბილისელმა ხრისტინა ფალასინიდიმ ოქროს მედალი დაისაკუთრა. ეს ჯერჯერობით საბჭოთა სპორტსმენების მიერ მოპოვებული ერთადერთი უმაღლესი ჯილდოა ამ სახეობაში.

დუეტთა შორის 23 წლის მოსკოველმა მარია ჩერნიაევამ და 19 წლის კიეველმა ელენა ფოშევსკაიამ ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს — 179,970 ქულა. ჩემპიონი კი ფრანგების დუეტი გახდა (კარინ შულერი და მარიან აშენბაჰერი) — 182,502 ქულა. მესამე ადგილი შვეიცარიელმა სინქრონისტებმა მოიპოვეს. (კარინ ზინგერი და ედიტ ბოსი) — 179,552.

ხრისტინა ფალასინიდი მონაწილეობას მიიღებს, აგრეთვე, ჯგუფურ ვარჯიშში.

წყალბურთელთა წინასწარი ტურნირის ბოლო მატჩში საბჭოთა სპორტსმენებმა რუმინელები დაამარცხეს— 12:5 (4:2, 3:0, 3:1, 2:2) ამის მერე ჩვენმა წყალბურთელებმა ფრანგებსაც აჯობეს — 11:7 (2:2, 3:2, 2:2, 4:1) და იუგოსლავიის ნაკრებთან ერთად, რომელმაც ჰოლანდიის გუნდი დაამარცხა (11:5) ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

მეტრიანი ტრამპლინიდან წყალში ხტომაში ევროპის ჩემპიონი გახდა ჰოლანდიელი ედვინ იუნგეიანსი (394,08 ქულა). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: კიეველი ვალერი სტაცენკო (378,24 ქულა) და მინსკელი ალექსანდრ ვლადჩენკო (363,24 ქულა).

## საჭადრაკო კომპოზიტორთა ფორუმზე

**ამ დღეებში ინგლისში ეწყობა საჭადრაკო კომპოზიტორთა მორიგი ფორუმი, სადაც განიხილება საჭადრაკო კომპოზიტორთა აქტუალური საკითხები, გაიმართება ამომხსნელთა, საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების მსოფლიოს პირადგუნდური პირველობა. ამ დიდ ფორუმში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა საბჭოთა კავშირის დელეგაცია სსრ კავშირის საჭადრაკო კომპოზიტორთა კომისიის თავმჯდომარის, საერთაშორისო დიდოსტატ გია ნადარეიშვილის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულეა, საჭადრაკო კომპოზიტორი ვაჟა ნეიძე. ეს ფორუმი 27 აგვისტომდე გასტანს.**

## დაასახელეს ნაკრების შემადგენლობა

**საბჭოთა** კავშირის ნაკრები კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში ამთავრებს მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისს (ტურნირი, როგორც ცნობილია, შვეიცარიაში ჩატარდება).

უკვე დამტკიცდა „კლასიკოსთა" გუნდის შემადგენლობა, ნაკრების კაპიტანია მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, მოსკოველი მიხეილ მამიაშვილი. ასპარეზობაში პირველად მიიღებენ მონაწილეობას ოლიმპიური ჩემპიონი ალექსანდრე კარელინი (ნოვოსიბირსკი), საბჭოთა კავშირის ჩემპიონები ოლეგ კუჩერენკო (ვოროშილოვგრადი) და ალექსანდრე შესტაკოვი (გროდნო). ნაკრებში შეყვანილი არიან, აგრეთვე, ოლიმპიური ჩემპიონები ლევონ ჯულფალაკიანი (ლენინაკანი), კომანდარ მაჯიდოვი (მინსკი), სეულის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი დაულეტ ტურლიხანოვი (ალმაათა), მსოფლიოს ჩემპიონი ვლადიმერ პოპოვი (ომსკი), მისი თანაქალაქელი, ევროპის ექსჩემპიონი ალექსანდრე იგნატენკო და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი ანატოლი ფედორენკო (გროდნო). ნაკრების მთავარი მწვრთნელია გენადი საპუნოვი.

სპორტი — ყველასათვის!

## ნუ მიართმევთ დედოფალს ნამცხვარს!

**აუზის** წყალი ყოველთვის წყნარია. მაგრამ არის დროის ერთი მონაკვეთი — სადღაც შესვენების მოახლოებისას — როცა საზაფხულოდ თბილისში დარჩენილი ცურვის მოყვარულები (ცხადია, მხოლოდ ისინი, ვინც აბონემენტის შოვნა მოახერხა) ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარებულ ცენტრალურ საწყლოსნო-სპორტულ კომპლექსში იყრიან თავს და წყალი, როგორც იტყვიან, დუღს! ცურვის როგორ სტილს არ გაეცნობით აქ, როგორ საცურაო კოსტიუმებს არ დაინახავთ, ვის არ შეხვდებით!

ამბობენ, ახალბედები წყალში ერთ ჩასვლაზე ორ-სამ კილომეტრს ცურავენო! რას იზამ, ძალიან ძნელია წყლიდან თავის ამოყოფა და ამდენი ლამაზი ქალის ერთად დანახვა... სხვათა შორის, აუზის ყველაზე ლამაზი ქალიშვილის საკითხი დღემდე ღიად რჩება (იჩქარეთ, ჯერ კიდევ შეგიძლიათ შეჯიბრებაში ჩაებათ), მაგრამ ლიკა ქავჟარაძე ამ არაოფიციალურ, თუმცა მეტად პრესტიჟულ კონკურსში მონაწილეობას არ იღებს. იგი კონკურსგარეშე მონაწილედ უნდა ჩაითვალოს. ლიკა მაინც ლიკაა!

● **ლიკა, რატომ ცურავ, გახდომა გინდა?**

— ძალიან პირდაპირი შეკითხვაა. მე მართლა ფორმის შესანარჩუნებლად ვვარჯიშობ და უკვე ოთხი კილოგრამიც დავიკელი.

● **მაგრამ მე მგონია, შენ ისედაც არ გქონდა ზედმეტი წონა.**

— არა (იცინის), მქონდა! მინდა კიდევ დავიკლო ერთი ამდენი. მთელი წელია ამ მიზნით დავდივარ კოოპერატივ „ეტალონში" და გამოცდილი სპეციალისტების დახმარებით თანდათან შევდივარ ფორმაში, ისე, რომ ჯანმრთელობას არავითარი ზიანი არ ადგება.

● **როგორია შენი სიმაღლე და წონა?**

— ახლა 64 კილოგრამს ვიწონი, სიმაღლით კი, ცხადია, ისევ 176 სანტიმეტრი ვარ.

● **ხომ ხედავ, ნორმა არ არის დარღვეული.**



ლიკა ქავჟარაძე

— მსახიობების მიმართ მოთხოვნები სხვაგვარია. ჩვენ მარტო გადასაღებ მოედანზე კი არ გვიხდება შრომა, არამედ ფიზიკური მომზადებისთვისაც გამუდმებით უნდა ვზრუნავდეთ. მე უკვე დამავიწყდა ნამცხვრის გემო, რომ იცოდე, აღარც კი მინდება ხოლმე...

● **კარგი, მაშინ მე შევჭამ ამ ნამცხვარს შენს სახელზე...**

ესაუბრა **ბექი ბოჟორიშვილი.**



**თბილისის სპორტის სასახლის ტერიტორიაზე ამ დღეებში კვლავ გაჩნდა ლამაზად გაფორმებული სავაჭრო წერტები — გაერთიანება „სპორტსაქონლის" ხელმძღვანელობამ (დირექტორი მ. ტყეშელაშვილი) ფართო ასორტიმენტის სპორტული და ტურისტული საქონელი გამოიტანა ბაზრობაზე. ბევრი მყიდველი სახკოლო ასაკის მოსწავლეთათვის განკუთვნილ სპორტულ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს უფრო ეტანება.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.**



მიზანი — სპორტული სუვერენიტეტი!

ეს ბევრს აინტერესებდა...

# ყველა გზა ლოზანაში მიდის

**ერთი** ნიშანდობლივი თვისება, რაც გარდაქმნის პროცესებს ბოლო ხანებში ასე შესამჩნევად დაეტყო, არის ღირებულებათა სწრაფი გადაფასება და მოვლენათა მკვეთრი თუ არა, საგრძნობი შემობრუნება მაინც. ცხადია, ეს ცხოვრების ყველა სფეროზე არ ითქმის, მაგრამ რაზეც ითქმის, მათ შორის უდავოდ არის სპორტი და ის მოძრაობა, რომელიც შარშან წლის მეორე ნახევარში ასე აქტიურად დაიწყეს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა და ათასი დაბრკოლების მიუხედავად (რასაც თან ცინიზმიც ახლდა), სამართლიანი ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. მაგრამ, როცა ნაკლოვანებებზე და მიზნისკენ წინსვლის მრავალი ხელშემშლელ მიზეზზე ვლაპარაკობთ, ალბათ კონკრეტულად უნდა ითქვას ისიც, თუ საიდან მოდის და როგორ ჩნდება გზებზე „ამკრძალავი ნიშნები". თუ ეს არ გამოიკვეთა და არ ითქვა, წინა კაცი უკანას ხიდი ვერ გახდება — გაჭირდება წინ ნაბიჯის გადადგმა. ჯერჯერობით პირველები ჩვენ ვართ, რომლებმაც მხარი ავუბით ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს და საბოლოო ანგარიშით ახლა უკვე კავშირის ოთხ რესპუბლიკას გვამოძრავებს ერთი მიზანი.

დღეს უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა დაბრკოლებას წინსვლისა და სპორტული სუვერენიტეტისთვის ბრძოლის გზაზე იმთავითვე საკავშირო სპორტსახკომი და მისი მონა-მორჩილი — ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ქმნიდნენ. რა დასამალია, გარდაქმნას ჰყავს ერთი ყველაზე მზაკვარი მოწინააღმდეგე — ბიუროკრატიული აპარატი. თუ მაღალი პრინციპებით მივუდგებით, ისინი უნდა განვასხვაოთ: ერთია — სახელმწიფოებრივი, მეორე — უწყებრივი ანუ იგივე უწყებრივ-სახელმწიფოებრივი (წვრილ-წვრილ უწყებრივს რა ჩამოთვლის). სპორტული სუვერენიტეტისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების შექმნისათვის წამოწყებულ მოძრაობის ბორბალს სწორედ უწყებრივი, ამ შემთხვევაში საკავშირო სპორტსახკომი და მისი ქვეშევრდომი ეოკ-ი ჩაბღაუჭებიან. ეს ადრეც საგრძნობი იყო, მაგრამ ახლა, მას შემდეგ, რაც ამას წინათ სსრ კავშირის ეოკ-ის მორიგი პლენუმი გაიმართა, სადავო და საეჭვო აღარაფერი დარჩა. აშკარად გამოჩნდა, რომ გარდაქმნის სახელმწიფო პოლიტიკაში დიდ როლს თამაშობდნენ საკავშირო სპორტსახკომი, ქვეყნის ეოკ-ი და ეს იყო არა პოზიცია (რასაც არ შეიძლებოდა ჰქონოდა საფუძველი), არამედ პოზა (რასაც ზურგს უმაგრებდა ბიუროკრატიული აპარატის ყოვლისშემძლეობის იმედი) და თუ გნებავთ, იყო ამბიცია — წლების განმავლობაში ასე რომ გაუჯდა ძვალ-რბილში ქვეყნის სპორტის მესვეურებს.

სპორტსახკომის უწყებრივი ბიუროკრატიული აპარატის ყოვლისშემძლეობის რწმენამ საქმე იქამდეც კი მიიყვანა, რომ სამართლისა და სიმართლის მაძიებლებს უფრო ზემოთ მოუხდათ კონსტიტუციური უფლებების დაცვის მხარდამჭერთა ძებნა. ამან, ცხადია, დააფიქრა ქვეყნის სპორტის მესაჭეები (ფაქტობრივად, სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარის და ეოკ-ის პრეზიდენტის პოსტები მიმდინარე წლის აგვისტომდე ერთსა და იმავე პიროვნებას ეკავა).

ის ფაქტი, რომ შარშან დეკემბრიდან მოყოლებული უკვე მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, სულ რაღაც რამდენიმე თვეში ცენტრის დამოკიდებულება ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მოთხოვნებისა და მათი სამართლიანი ბრძოლისადმი აშკარად სასიკეთოდ შეიცვალა, უკვე ბევრის მეტყველია — ბიუროკრატიული აპარატი იძულებული ხდება ნელ-ნელა დაჰყვეს მოვლენებს და ყური მიუგდოს ჭეშმარიტების ხმას. აი, ახლა ეოკ-ის სხდომაზე სიტყვას იღებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნოვიკოვი. დაგვეთანხმებით, თვით ეს ფაქტი უკვე ცოტას როდი ნიშნავს.

რა უნდა ეთქვა ნოვიკოვს? ისეთი ორგანიზაციის წარმომადგენლისაგან, როგორიც საგარეო საქმეთა სამინისტროა, გასაგებია, რა გვაინტერესებდა. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი თანამდებობის პირმა სადავო საკითხისადმი დიპლომატიური მიდგომის აპრობირებული ხერხი გამოიყენა, მის გამოსვლაში მაინც აშკარად ჩანდა, რომ ყოველმხრივ უნდა წახალისდეს რესპუბლიკების უფლებების გაფართოება, ალბათ საჭიროა შეიქმნას ამ უფლებების მხარდამჭერი ორგანიზაციებიც კი, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია მრავალეროვან ქვეყანაში. ითქვა ისიც, რომ დღის წესრიგში დგას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების შესვლის საკითხი, რასაც მხარს უჭერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო და კიდევ: „ჩვენ ვართ მსოფლიოს ხალხთა შორის თანამშრომლობის, მათ შორის ოლიმპიური მოძრაობის სრულუფლებიანი წევრები, ჩვენ ამ პრინციპებით უნდა ვიხელმძღვანელოთ".

სიმართლე გითხრათ, ასეთ მხარდაჭერას არც მოველოდით. მაგრამ ახლა ყოყმანისა და მოლოდინის დრო მართლაც არ არის და ეოკ-ის პლენუმის ამ სხდომაზე ის მაინც აშკარად გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო, მისი აპარატი მხარს უჭერს გარდაქმნას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ცხადია, რესპუბლიკების უფლებების გაფართოებას სპორტულ მოძრაობაში.

პლენუმს უნდა მიეღო სსრ კავშირის ეოკ-ის წესდება. ეს საკითხი ოფიციალურად იყო შეტანილი დღის წესრიგში. თავიდან საქმე ისე აეწყო, რომ თითქოს უნდა შედგომოდნენ წესდების პროექტის განხილვას და უკვე კენჭისყრით გადაწყვეტილების მიღებაც კი სურდათ, რათა იმავე დღეს, 4 აგვისტოს დაემთავრებინათ საკითხის განხილვა. პლენუმი 10 საათსა და 05 წუთზე დაიწყო.

10 საათი და 35 წუთი... სიტყვას ითხოვს ლატვიის დელეგაციის ხელმძღვანელი. იგი ტრიბუნიდან ოთხი რესპუბლიკის — ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის და საქართველოს სახელით კატეგორიულად აცხადებს, რომ თუ წესდების პროექტში მე-2 მუხლი ზემოხსენებული ოთხი რესპუბლიკის მიერ შეთავაზებული ვარიანტით არ შეიცვლება, მაშინ აზრი არა აქვს მთლიანობაში პროექტის განხილვას.

ეოკ-ის ხელმძღვანელობამ და პლენუმის წევრებმა კარგად იცოდნენ, რომ, თუ მხარს დაუჭერდნენ რესპუბლიკების უფლებების დისკრიმინაციის პროექტს, ეს იმავე სხდომაზე შესაბამის საპროტესტო ნაბიჯს გამოიწვევდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და საქართველოს მხრიდან. ამიტომ, მომდევნო გამომსვლელთა არაერთი მუქარისა და ყოვლად უტაქტო გამოხდომების შემდეგ პლენუმმა მაინც ჩაყოლა ამჯობინა — პროექტზე იმსჯელეს, მაგრამ არ მიიღეს. მისი ხელახალი განხილვა და საბოლოო დასკვნის გამოტანა გადაიდო რამდენიმე თვით — ნოემბრისთვის.

აქვე მკითხველებს შევახსენებთ ეოკ-ის წესდების პროექტის მე-2 მუხლს, სადაც ჩაწერილია: „სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის, როგორც სოკ-ის მიერ ერთადერთად აღიარებულისა, იურისდიქცია და უფლებამოსილება ვრცელდება სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე".

აქვე ვიტყვით: ლატვიამ, ლიტვამ, ესტონეთმა და საქართველომ ჯერ კიდევ რიგაში წელს, 18 ივლისს გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაზე ეს მუხლი შემდეგნაირად ჩამოაყალიბეს: „მე-2 მუხლი წარდგენილი იქნეს შემდეგი რედაქციით: სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი ცნობს მოკავშირე რესპუბლიკების ოლიმპიურ კომიტეტებს, სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის იურისდიქცია და უფლებამოსილება ვრცელდება მხოლოდ იმ მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე, რომლებსაც ოლიმპიური კომიტეტი არა აქვთ. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ოლიმპიური კომიტეტების თანამშრომლობა რეგულირდება დადებული ხელშეკრულებით".

როგორც ხედავთ, პროექტის თავდაპირველი ვარიანტი ხელყოფს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს. ერთი ორგანიზაციის ხელში უყრის თავს მთელ ძალაუფლებას. ანგარიშს არ უწევს როგორც რესპუბლიკების, ისე სსრ კავშირის კონსტიტუციით გათვალისწინებულ უფლებებს.

საერთოდ, ასეთ თავყრილობებზე უცნაური რამ ხდება: გმოდის თითქოს განათლებული, ერუდირებული ხალხი, სადაც საჭიროა, როგორც იტყვიან, ორატორი კბილებით იცავს კონსტიტუციას, სადაც არა, თავს იბრიყვებს (ბოდიშს ვიხდით ამ გამოთქმისთვის), თითქოს არაფერი სმენოდეთ, ან კონსტიტუციაში არაფერი იყოს ნათქვამი.

პლენუმზე წარდგენილ ოთხი რესპუბლიკის რეკომენდაციებში, რომელიც პროექტში ცვლილებებს შეეხება, სხვა საკითხებიც არის, მაგრამ უმთავრესი მაინც ის მე-2 მუხლი გახლავთ.

საკითხის განხილვის გადავადების ერთ-ერთ საბაბად ისიც იქნა მიჩნეული (ისევ ოთხი რესპუბლიკის წინადადებით), რომ ეროვნულ პრობლემებზე მზადდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც ალბათ ბევრ რამეში შეიტანს სიცხადეს.

ამ პლენუმზე გაირკვა, რომ ლატვიამ „კეთილი ნების" მომავალ თამაშებში დამოუკიდებლად მონაწილეობისთვის განაცხადი უკვე წარადგინა. მას ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში ასევე ცალკე მონაწილეობისთვის მოთხოვნის გაგზავნა აქვს გადაწყვეტილი.

კიდევ ერთი გამარჯვება, რომელსაც პლენუმზე უწყებრივ-ბიუროკრატიულ აპარატთან ფარულ და აშკარა ჭიდილში ზემოაღნიშნულმა ოთხმა რესპუბლიკამ მიაღწია, გახლავთ ის, რომ წლეულსვე ცენტრთან, კერძოდ, სსრ კავშირის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად, ლოზანაში, სადაც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბბინაა, საკონსულტაციოდ გაემგზავრებიან ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ეოკ-ის წარმომადგენლები (შესაძლებელია, თუ მანამდე საქართველოს ეოკ-ი შეიქმნა, ლოზანაში ჩვენი წარმომადგენელიც ჩავიდეს). ამ საკონსულტაციო შეხვედრაზე, ბოლოს და ბოლოს უნდა გაირკვეს, რის საფუძველზე ეუბნებიან სოკ-ში უარს სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების ეოკ-ებს აღიარებაზე. ცხადია, სტუმრებმა მასპინძლებს უნდა აუხსნან ჩვენი კონსტიტუციური უფლებები, სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი სტრუქტურა, სხვა ქვეყნების ფედერაციული კავშირისგან კონსტიტუციურად განსხვავებული ჩვენი უფლებები და ა. შ. სწორედ ამ შეხვედრაზე უნდა გაირკვეს, რომ სსრ კავშირში შემავალი რესპუბლიკები თავის მხრივ არიან სუვერენული ქვეყნები, რომლებსაც აქვთ მოკავშირე რესპუბლიკებთან თუ უცხოეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობების უფლება, რაც განმტკიცებულია კონსტიტუციით.

ერთი სიტყვით, ახლა ყველა გზა ლოზანისკენ მიდის...

**თენგიზ ბაჩეჩილაძე.**
**„ლელოს" სპეც. კორესპონდენტი.**
**მოსკოვი-თბილისი**
**1989 წ. აგვისტო.**

ჟამი ფიქრისა, ჟამი განსჯისა

# პროგნოზი გამართლდა

**თავისუფალი სტილის** მოჭიდავეთა საკავშირო შეჯიბრებებში გუნდური პირველობისთვის ძირითადად რსფსრ-სა და საქართველოს ნაკრებები იბრძვიან, თუმცა სხვა გუნდებიც, უფრო კი უკრაინის და მოსკოვის ნაკრებები, ფხიზლად არიან და თუ რომელიმე ლიდერმა წაიფორხილა, მის ჩამოტოვებას ცდილობენ.

სწორედ ამიტომ, ჩვენმა სპეციალისტებმა IV საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე გუნდი II ან III ადგილის პრეტენდენტად დაასახელეს, ითვალისწინებდნენ პირველ რიგში იმას, რომ შეჯიბრება უკრაინაში ტარდებოდა, რაც საგრძნობლად ზრდიდა მასპინძელთა შანსს პირველი ადგილისათვის ბრძოლაში. უკრაინელებმა, მართლაც, გაიმარჯვეს, სხვათა შორის ჩვენი სპორტსმენის დახმარებით, თუმცა ამაზე ქვემოთ...

საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა დონეცკში 5 მედალი აიღო და III ადგილი დაიკავა, დასახულ გეგმას ერთი მედლით გადააჭარბა. და მაინც, ამ შედეგის ავ-კარგიანობას ხელაღებით ზუსტად ვერ შეაფასებ. გეგმა ყოველთვის პირობითი მცნებაა. კარგია, როცა იგი სრულდება, მაგრამ მაინც მას ზოგჯერ დაუკმაყოფილებლობის გრძნობაც ახლავს. საქართველოს ფალავნებმა დონეცკში მხოლოდ ერთი ოქროს მედალი მოიპოვეს და ამ შემთხვევაში შეიძლება ეს იყოს მიზეზი. მაგრამ, ჩვენი აზრით, მთავარი კრიტერიუმი მაინც თვით ახალგაზრდული გუნდის პოტენციაა. ამ საკითხში კი ჩვენი მწვრთნელები ძირითადად ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, მით უმეტეს, რომ, საქართველოს გუნდში იმაზე ახალგაზრდა ფალავნები იყვნენ, ვიდრე დებულება ითვალისწინებდა — 1970-71 წლებში დაბადებულნი. მხოლოდ ორი იყო მათზე უფროსი, ამასთან ზოგი მათგანი, მოზრდილთა ნაკრებშიც პირველ ნომრად ითვლება.

ყოველ ასპარეზობაზე ადგილი აქვს მოულოდნელობებს და ცხადია, არასასიამოვნო მოვლენებიც ხდება. ჩვენი გუნდისათვის ასეთი შემთხვევა გახლდათ ერთ-ერთი ლიდერის, ყვარლელი გიორგი ივანიშვილის სუსტი გამოსვლა, რომელმაც მხოლოდ VII ადგილი დაიკავა.

„უცნაური ყმაწვილია, — თქვა მის შესახებ საქართველოს სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა თავისუფალ ჭიდაობაში ვაჟა იმერლიშვილმა, — ან პირველ ადგილს დაიკავებს, ან აუტსაიდერებში ამოყოფს თავს. თამაშებამდე ცოტა ხნით ადრე, საკავშირო ტურნირში, სწორედ ამავე ასაკის მოჭიდავეთა შორის ნული საჯარიმო ქულით გაიმარჯვა, აქ კი VII ადგილი... ივანიშვილის წარუმატებლობა დიდი დარტყმა იყო ჩვენთვის, მას რომელიმე მედალი რომ აეღო, — ეს კი ნამდვილად შეეძლო, — გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილზე გავიდოდით".

აი, გორელი გიორგი ხინჩიკაშვილის (მწვრთნელი ნუგზარ სხიერელი) გამოსვლას კი ვ. იმერლიშვილმა პირდაპირ გმირული უწოდა. ბიჭს მთელი ტურნირის მანძილზე ტრავმა აწუხებდა და 24(!) ტკივილის გამაყუჩებელი ნემსი გაუკეთეს. ჭიდაობით კი ძალზე ძლიერად ჭიდაობდა, ფინალამდე ყველა შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო, ფინალის სიმძიმესაც გაუძლო და ჩვენი გუნდიდან ერთადერთმა ჩემპიონის სახელი დაიმსახურა 68 კგ წონით კატეგორიაში.

თბილისელი გოჩა მაკოევი (62 კგ) ქვეყნის ჩემპიონია მოზარდთა შორის, ოღონდ, ჯერ ვერ მიაღწია უფროსი ასაკის ჩემპიონებისთვის დამახასიათებელ სტაბილურობას. „უფროსთა და იუნიორთა ტურნირები, — ეს სულ სხვადასხვა ხასიათის შეჯიბრებებია, — განაგრძო ვაჟა იმერლიშვილმა, — დიდებში გონივრული, შენიღბული ბრძოლაა თითოეული ქულისთვის, ახალგაზრდები კი ფიცხელი, უკომპრომისო და „ღია" შერკინებისკენ მიილტვიან. გოჩა ბოლო ხანს ხან დიდებში გამოდის, ხან ისევ იუნიორებში და ასეთ პირობებში ზოგჯერ სიფხიზლე ღალატობს, თუმცა მესამე ადგილი მაინც დაიკავა".

თუ მაკოევისთვის მესამე ადგილი მაინცდამაინც დიდ წარმატებად ვერ ჩაითვლება, ბრინჯაოს მედლების მოპოვება აშკარად წინ გადადგმული ნაბიჯია ორი ქუთაისელი ფალავნისთვის, გიორგი ჯანელიძისა (130 კგ) და აკაკი ჩხაიძისთვის (90 კგ).

ჩვენს გუნდში აშკარა ფავორიტი გახლდათ ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს თასის მფლობელი, თბილისელი მერაბ ვალიევი (მძიმე წონა), იგი დამაჯერებლად გავიდა ფინალში, სადაც სხვა ფავორიტს, კალინინგრადელ შუმილინს შეხვდა. ამ დროს გუნდური მდგომარეობა ისეთი იყო, თუ შუმილინი გაიმარჯვებდა, ჩემპიონი რსფსრ-ის ნაკრები ხდებოდა, თუ არა და — უკრაინისა. ალბათ წარმოგიდგენიათ მასპინძელთა მოლოდინი და ქომაგობა ამ შეხვედრაში. მეტოქეთა ძალები თანაბარი აღმოჩნდა, ორორი გაფრთხილების შემდეგ მსაჯებმა ვალიევსაც და შუმილინსაც დამარცხება მიაკუთვნეს და ორივეს ვერცხლის მედლები გადასცეს. ამის წყალობით უკრაინის ნაკრები 225 ქულით I ადგილზე გავიდა, რსფსრ-ის გუნდი — მეორეზე (223), ჩვენმა მოჭიდავეებმა, როგორც უკვე ვთქვით, III ადგილი დაიკავეს — 196 ქულა. მასპინძლებმა გულითადი მადლობა გადაუხადეს ჩვენს სპორტსმენებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი ორი მეტად პერსპექტიული მოჭიდავე ზაზა ზოზიროვი და გელა უბილავა იმ დროს ევროპის იუნიორთა პირველობაზე იმყოფებოდნენ და დონეცკში გამოსვლა ვერ შეძლეს, თუმცა ორივემ სტამბოლში ოქროს მედლები მოიპოვა.

როგორც ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, ჩვენს გუნდს შეეძლო უკეთესი შედეგების იმედიც ჰქონოდა, მაგრამ შეჯიბრება შეჯიბრებაა და ყველაფერს ვერ გაითვალისწინებ, თუმცა გუნდი, ვ. იმერლიშვილის თქმით, კარგად იყო მომზადებული.

— ჩვენი მოჭიდავეები უფროსი მწვრთნელის ვანო ნიკოლაძის ხელმძღვანელობით ძალზე ნაყოფიერად ემზადებოდნენ. ონში, სადაც დასკვნითი შეკრება გვქონდა, მასპინძლებმა ყველა პირობა შეგვიქმნეს სავარჯიშოდ და დასასვენებლად. ვიცოდით მეტოქეთა ძალაც, თითოეულ წონაში თითო სპეციალისტი გვყავდა განპირობებული, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ, თუ როგორ იცვლებოდა ძალთა თანაფარდობა, ვინ გაძლიერდა ან დასუსტდა და ა. შ.

● **მეტოქეთა გუნდებში ბევრი ქართველი ფალავანი გამოდიოდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვერ ვუფრთხილდებით მათ, ადვილად ველევით. რას ფიქრობთ ამ საკითხზე?**

— ყველა მშობელს სურს თავისი სპორტსმენი შვილი უმაღლეს სასწავლებელში იხილოს. ჩვენთან ყველა ვერ ხვდება ე. წ. სპორტულ სიებში და სპორტსმენები და მათი მშობლები გამოსავალს სხვაგან, სხვა რესპუბლიკებში ეძებენ. ჩვენი მეტოქეებიც არ თვლემენ, თუ ჩვენ ვაკვირდებით მათ გუნდებს, ისინი ჩვენსას უთვალთვალებენ და „მიზანში იღებენ" ჩვენს ზოგიერთ ფალავანს, სხვადასხვა დაპირებებით იბირებენ. ასე რომ, არა მგონია მათი რესპუბლიკიდან წასვლის მიზეზი აუცილებლად რაიმე უსამართლობა იყოს.

● **მართალია, საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა წლეულს გაიმარჯვა საკავშირო თასის გათამაშებაში, მაგრამ მუდამ მეორე გუნდად ითვლებოდა რუსეთის ფედერაციის ნაკრების შემდეგ. ჩვენი მთავარი მეტოქის დიდი პოტენციალი ყველასთვის აშკარაა, მაგრამ არ შეიძლება ახლა ჩვენ დაგვიძახონ პირველი გუნდი?**

— ეს შესაძლებელი ამოცანა იქნებოდა ზოგიერთი სუბიექტური გარემოება რომ არ გვიშლიდეს ხელს. რუსეთის ფედერაციას, მართლაც, ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავს და ზოგჯერ გვიგებს ხოლმე. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ჩვენ მათ ვუტოლდებით. აი, სწორედ ამ დროს იჩენს თავს მათი სხვა უპირატესობა: მსაჯთა კორპუსში ძირითადად ამ რესპუბლიკის წარმომადგენლები არიან. მათ შეუძლიათ ზოგი რამ გაპატიონ, დაგეხმარონ კიდეც, ესე იგი, ობიექტურად იმსაჯონ, მაგრამ როცა კრიტიკულ მომენტამდე მიდის საქმე — ან ჩვენ უნდა ვიყოთ წინ ან ისინი — აი, მაშინ უნდა ნახოთ მათი „ძალა".

**გიორგი პავლიაშვილი.**

## ელვა-ინფორმაცია

**გუშინ საღამოს მოსკოვიდან დაგვირეკა ველოსპორტში საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა კარლო შენგელიამ. აი რა გადმოგვცა მან:**

**ეს-ესაა სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელებმა, რომლებსაც მიანდეს მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ქვეყნის საუკეთესო ველოსიპედისტების შერჩევა, გუნდში ერთხმად დაასახელეს თბილისელი ვასილი დავიდენკო.**

**მსოფლიო ჩემპიონატი პროფესიონალ და მოყვარულ ველოსიპედისტებს შორის, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს საფრანგეთის ქალაქ ლიონში. ახლა იქ გზატკეცილზე ველომრბოლელთა ასპარეზობის დრო დგება. დავიდენკო სწორედ ამ ასპარეზობაზე მიემგზავრება.**

## I ლიგა

**17 აგვისტოს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XXVI ტურის შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელებმა თავიანთ მინდორზე წარმატებით ითამაშეს დონის როსტოვის არმიელებთან. ტორპედოელთა უპირატესობა მთელი მატჩის მსვლელობაში აშკარა იყო, მათ დიდი ანგარიშით მოიპოვეს გამარჯვება — 3:0.

ბათუმის დინამოელები ლვოვში შეხვდნენ ადგილობრივ ასკ „კარპატის", თამაში დამთავრდა ლვოველ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 2:1.

ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების შეხვედრა. ცსკა-მ დიდი ანგარიშით — 3:0 დაამარცხა ალმა-ათის „კაირატი", ხოლო კიშინიოვის „ნისტრუმ" შინ 2:4 წააგო ბაქოს „ნეფთჩისთან".

●●●

სხვა შეხვედრათა შედეგები: „კოტაიკი" (აბოვიანი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 1:1, „ფაკელი" (ვორონეჟი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 1:1, „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) — „გეოლოგი" (ტიუმენი) 2:2, „კუზბასი" (კემეროვო) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 0:0, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 4:1, „დაუგავა" (რიგა) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 2:0.

* * *

გთავაზობთ ლანჩხუთის „გურიისა" და სტავროპოლის „დინამოს" 16 აგვისტოს შეხვედრის ანგარიშს, რომელიც ჩვენმა კორესპონდენტმა ა. ორმოცაძემ გადმოგვცა ლანჩხუთიდან:

სტუმრად წარმატებით ჩატარებული ორი შეხვედრის შემდეგ ლანჩხუთელი ფეხბურთელები გამარჯვების რწმენით გამოვიდნენ სტავროპოლის „დინამოსთან", თუმცა ეს გუნდი ერთ-ერთი ყველაზე ძნელი მეტოქეა მათთვის. „გურია" მთელი ტაიმი უტევდა სტუმართა კარს, მაგრამ სტავროპოლელებმა ნოვიკოვის მეთაურობით საიმედო დაცვა აღმართეს და პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა.

მიმდინარეობდა 48-ე წუთი, როცა დანელია მარჯვენა ფლანგიდან შეტევაზე გავიდა, გადააწოდა დოზმოროვს, მან — გურულს და მალახოვის კარში პირველი ბურთი აღმოჩნდა. 55-ე წუთზე ოსიპოვმა შორი მანძილიდან ძლიერად დაარტყა და საპასუხო ბურთი გაიტანა, მაგრამ ლანჩხუთელთა განუწყვეტელმა იერიშებმა მაინც შედეგი გამოიღო, მატჩის დასასრულს იმავე გურულმა ეფექტური ბურთი გაიტანა მეტოქის კარში — 2:1.

„გურიამ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: აბუსერიძე, ტყებუჩავა, ოლეფირენკო, დანელია, კუზნეცოვი, ცომაია, ჟორდანია (თევზაძე), დოზმოროვი, კორღალიძე (მესხი), ფრიდონაშვილი, გურული. მსაჯი პ. კობიჩიკი (ჩერნოვცი).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 25 | 18 | 4 | 3 | 71-17 | 40 |
| „კაირატი" | 25 | 14 | 6 | 5 | 42-20 | 34 |
| „გურია" | 24 | 14 | 6 | 4 | 39-18 | 34 |
| „ფაკელი" | 25 | 12 | 6 | 7 | 30-18 | 30 |
| „ფახთაქორი" | 25 | 11 | 7 | 7 | 30-15 | 29 |
| „ნეფთჩი" | 25 | 11 | 7 | 7 | 31-24 | 29 |
| „დინამო" სტ. | 24 | 9 | 9 | 6 | 32-27 | 27 |
| „ნისტრუ" | 25 | 12 | 2 | 11 | 27-36 | 26 |
| „გეოლოგი" | 25 | 11 | 4 | 10 | 28-28 | 26 |
| „მეტალურგი" | 25 | 10 | 6 | 9 | 34-25 | 26 |
| „როსტსელმ." | 25 | 8 | 10 | 7 | 25-24 | 26 |
| „ტორპედო" | 23 | 11 | 3 | 9 | 37-30 | 25 |
| „ტავრია" | 24 | 9 | 6 | 9 | 36-35 | 24 |
| „კოტაიკი" | 24 | 8 | 7 | 9 | 27-21 | 23 |
| „შინიკი" | 25 | 7 | 9 | 9 | 27-41 | 23 |
| „სპარტაკი" | 25 | 8 | 6 | 11 | 28-34 | 22 |
| „დინამო" ბ. | 25 | 8 | 5 | 12 | 22-41 | 21 |
| „ყუბანი" | 25 | 8 | 4 | 13 | 26-50 | 20 |
| „კუზბასი" | 25 | 5 | 9 | 11 | 14-27 | 19 |
| ასკ რ. | 25 | 5 | 5 | 15 | 30-49 | 15 |
| „დაუგავა" | 25 | 4 | 5 | 16 | 16-43 | 13 |
| ასკ „კარპატი" | 25 | 3 | 6 | 16 | 20-49 | 12 |

## ახალი ფეხბურთელები ნაკრების შემადგენლობაში

**სსრ კავშირის** ფეხბურთელთა ნაკრები ემზადება პოლონეთის გუნდთან ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრისთვის, თამაში მეტოქის მინდორზე უნდა გაიმართოს 23 აგვისტოს.

პოლონელებთან საწვრთნელ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს ავსტრიის ნაკრებთან მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური შესარჩევი მატჩის წინ, რომელიც 6 სექტემბერს გაიმართება ვენაში. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში დიდი ხნის შესვენების შემდეგ გამოჩნდა მოსკოვის სპარტაკელი ფ. ჩერენკოვი, ოლიმპიური ჩემპიონები ა. ნარბეკოვასი (ვილნიუსის „ჟალგირისი"), ა. ნიკიტინი (ვოლგოგრადის „როტორი"), ს. ფოკინი (ცსკა), აგრეთვე ს. კირიაკოვი (მოსკოვის „დინამო") და ვ. შმაროვი (მოსკოვის „სპარტაკი").

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ტრავმების გამო ამჟამად ვერ გამოდიან კიეველი ფეხბურთელები ა. დემიანენკო, ა. მიხაილიჩენკო და ო. პროტასოვი, ამიტომაც გუნდს განახლებული შემადგენლობით მოუწევს თამაში. ახალწვეულთა გარდა ნაკრების შემადგენლობაში არიან: დ. ხარინი („დინამო", მოსკოვი), ვ. ჩანოვი („დინამო", კიევი), ო. ლუჟნი („დინამო", კიევი), კ. კეტაშვილი („დინამო", თბილისი), ა. ზიგმანტოვიჩი („დინამო", მინსკი), ს. გოროლკოვიჩი („ლოკომოტივი", მოსკოვი), ვ. კულკოვი („სპარტაკი", მოსკოვი), ვ. ივანაუსკასი („ჟალგირისი", ვილნიუსი), ი. დობროვოლსკი („დინამო", მოსკოვი), ს. როდიონოვი („სპარტაკი", მოსკოვი).

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრების ხელმძღვანელობამ 1990 წლის აგვისტომდე კონტრაქტი გააფორმა შვეიცარიის ფირმა „ტოპ სპორტ პრომოუშნთან", რომლის ძალითაც ფირმამ უფლება მიიღო უცხოეთის პრესაში და ტელევიზიაში გამოაქვეყნოს სტატიები, ინტერვიუ, ფოტომასალა, აგრეთვე, საბჭოთა გუნდის ცხოვრების ამსახველი სხვა მასალა. ამ ფირმას პრიორიტეტი ექნება იმ საბჭოთა ფეხბურთელებზეც, რომლებიც უცხოეთის კლუბებში გამოდიან.

ამ კონტრაქტთან დაკავშირებით, საბჭოთა ნაკრების თითოეულმა ფეხბურთელმა ან მწვრთნელმა უცხოელ ჟურნალისტს ინტერვიუ უნდა მისცეს მხოლოდ „ტოპ სპორტ პრომოუშნის" ოფიციალური წარმომადგენლის ფოლკერ შმიდტის მეშვეობით, რომელიც საბჭოთა ნაკრებთან ერთად იმოგზაურებს უცხოურ ქვეყნებში.

საინტერესოა, რომ ხელშეკრულებას ძალა ეკარგება იმ შემთხვევაში, თუკი საბჭოთა ნაკრები 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაში ვერ მოხვდა. ეს ხაზგასმითაა აღნიშნული კონტრაქტში.

## იგორ ბელანოვი „ბორუსიაში"?

გფრ-ის საფეხბურთო ჩემპიონატის IV ტურში მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" ჰამბურგის „სტ. პაულისთან" შეხვედრაში დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — 4:1. „ბორუსიის" გულშემატკივრები ალმებითა და სიმღერით გამოვიდნენ ქალაქის ქუჩებში, მათ ნამდვილი დღესასწაული ჰქონდათ.

მიონხენგლადბახის გაზეთები წერენ, რომ „ბორუსიას" ეროვნულ ჩემპიონატში ამჟამად მერვე ადგილი უკავია, მაგრამ კარგი პერსპექტივები აქვს, გარდა ამისა კლუბს ჩინებული შევსება მოელის, მის შემადგენლობაში უნდა ჩაირიცხოს კიევის „დინამოს" მოთამაშე იგორ ბელანოვი, ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი.

კლუბის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „ბორუსია" დიდ იმედებს ამყარებს ი. ბელანოვზე. დასავლეთ გერმანიაში იგი მეტად პოპულარულია. ყველას კარგად ახსოვს ი. ბელანოვის შესანიშნავი თამაში მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში. 1986 წელს ი. ბელანოვმა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მოიპოვა და „ოქროს ბურთით" დაჯილდოვდა.



## ცნობები ლაგოსიდან, ლისაბონიდან, რომიდან, რიო-დე-ჟანეიროდან, ტურინიდან, მალმედან

**ლაგოსი.** ნიგერიის ხელისუფლებამ საგანგებო კომისია შექმნა, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის დროს 25 წლის ნიგერიელი ფეხბურთელის სემ ოკვარაჯის სიკვდილის მიზეზი. ამის თაობაზე ჟურნალისტებს განუცხადა ნიგერიის ახალგაზრდული და სპორტის საქმეთა მინისტრმა ტ. ო. გრეჰემ-დუგლასმა.

კომისიის შემადგენლობაში 9 კაცი შევიდა. მათი ამოცანაა შეამოწმოს ნიგერიის დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე უხიფათობის სისტემა და ორი კვირის შემდეგ საგანგებო პატაკი წარუდგინოს მთავრობას.

ლაგოსის სტადიონზე მომხდარი ამბავი ყველამ იცის: აქ მიმდინარეობდა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ნიგერიისა და ანგოლის გუნდებს შორის, ნიგერიელი ფეხბურთელი ს. ოკვარაჯი, რომელიც ბელგიის კლუბ „ბაჰემში" გამოდის კონტრაქტით, მეტოქესთან შეტაკებისას მინდორზე დაეცა და საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა.

**ლისაბონი.** წარმატებით ითამაშა მოსკოვის „სპარტაკმა", რომელიც ამჟამად პორტუგალიაში იმყოფება. მან ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა ამ ქვეყნის ჩემპიონთან ლისაბონის „ბენფიკასთან" და გაიმარჯვა ანგარიშით 3:2. სპარტაკელთაგან ბურთები გაიტანეს შმაროვმა და როდიონოვმა (2). მატჩს 40 ათასი მაყურებელი დაესწრო.

**რომი.** იტალიის პროფესიული საფეხბურთო კლუბების მფლობელებმა წლეულს მილიონობით დოლარი დახარჯეს უცხოელ მოთამაშეთა საფასურად, ახლა ამ ქვეყანაში 51 უცხოელი ფეხბურთელი

## ქართული ფეხბურთის სავალალო ფურცლები

**ცნობილი** მუსიკათმცოდნე, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი გულბათ ტორაძე ფეხბურთის დიდი მოყვარული და სტატისტიკოსი გახლავთ. სულ ახლახან მან რედაქციაში მოგვაკითხა და მეტად საინტერესო მასალა შემოგვთავაზა, რომელიც ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიის" წლევანდელ მეშვიდე ნომერში გამოქვეყნდება. წერილში აღწერილია ქართული ფეხბურთის ხანგრძლივი, მდიდარი ისტორიის ის სავალალო ეპიზოდები, რომლებიც ავტორს კეთილსინდისიერი გულმოდგინებით და სიზუსტით აღურიცხავს სსრ კავშირის ჩემპიონატების მანძილზე და ახლა მკითხველის განსასჯელად საჯაროდ გამოაქვს.

პროფესორ გ. ტორაძისა და ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიის" რედაქციის თავაზიანი ნებართვით გთავაზობთ ამ საინტერესო მასალის ზოგიერთ ფრაგმენტს, თითოეული მათგანი, უდავოდ, საყურადღებოა არა მარტო სტატისტიკის, არამედ სხვა ასპექტების თვალსაზრისითაც...

ავტორი პუნქტუალურად აღწერს იმ ეპიზოდებს, როცა სხვადასხვა მიზეზით და ზემდგომი ინსტანციების ჩარევის წყალობით დიდი, მეტად დიდი ზიანი მიადგა ქართულ ფეხბურთს. მათგან, რასაკვირველია, ერთ-ერთი უმთავრესია 1953 წლის საკავშირო ჩემპიონატის ფრიად სავალალო ფინიშის ამბავი, რომლის გამოისობითაც თბილისის „დინამომ" ე. წ. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ზემოქმედების მეოხებით დაკარგა სსრ კავშირის ჩემპიონობის მოპოვების ნაღდი შესაძლებლობა.

1953 წელს თბილისის დინამოელებმა შესანიშნავად ითამაშეს სსრ კავშირის ჩემპიონატში, ისინი ოქროს მედლების მოპოვების უმთავრესი პრეტენდენტები იყვნენ. გუნდის შემადგენლობაში იმ წელს გამოდიოდნენ ა. ღოღობერიძე, ვ. მარღანია, გ. ანთაძე, ვ. ელოშვილი, კ. გაგნიძე, ზ. კალოევი, ი. სარჯველაძე, მ. ჯოჯუა, რ. მახარაძე, ა. ჭკუასელი, ა. კოტრიკაძე, ნ. თოდრია, ნ. გაგნიძე, ჯ. რუხაძე და სხვები. „დინამოს" მაშინ მ. იაკუშინი წვრთნიდა. თბილისის „დინამოს" სულ ერთი ნაბიჯი რომ აკლდა ოქროს მედლებამდე, ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე, მ. იაკუშინი სასწრაფოდ მოაცილეს ჩვენს გუნდს, მოსკოვის „დინამოში" გადაიყვანეს და უკვე ამ შეუსაბამო, ალოგიკურმა აქციამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა თბილისელ ფეხბურთელთა საერთო განწყობაზე, მათს ბრძოლისუნარიანობაზე, წარმოიდგინეთ: ჩემპიონობის პრეტენდენტი მწვრთნელის გარეშე! ასე რომ, როცა გათამაშების გადამწყვეტი მატჩი შედგა მოსკოვში ადგილობრივ „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" შორის, მ. იაკუშინი უკვე ნეიტრალურ მაყურებლად იჯდა ტრიბუნაზე.

თბილისელებმა შესანიშნავად ჩაატარეს მატჩი, თამაშის დასასრულისთვის ისინი წინ იყვნენ ანგარიშით 2:1, გამარჯვებულის საკითხი უკვე ეჭვს აღარ იწვევდა, გამარჯვებას კი თბილისის დინამოელთათვის ოქროს მედლები უნდა მოეტანა. ეს დიდი ხნის ნანატრი ოცნების ცხადი ახდენა იყო, მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა თამაშის დამთავრებას ბევრი აღარაფერი აკლდა, მინდორზე ერთბაშად იხუვლეს მოსკოვის „ტორპედოს" გულშემატკივრებმა, თამაში ჩაშალეს და მერეც ხულიგნურად იქცეოდნენ, შეიჭრნენ გასახდელში, იქაც განაგრძობდნენ თავიანთ უწესრიგობას. ამჟამად არსებული წესებით ასეთ დროს ბევრი ლაპარაკი საჭირო არაა: თუ გულშემატკივრები თამაშის მსვლელობაში ჩაერევიან და მატჩს ჩაშლიან, მასპინძელ გუნდს ულაპარაკოდ დამარცხებას უსჯიან, ეს ყველასათვის გასაგები, ლოგიკური ამბავია. ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ მაშინ საქმეში სასწრაფოდ ჩაერივნენ „მაღალი ინსტანციები", ასევე სასწრაფოდ გადაწყვიტეს, რომ მატჩი არანორმალურ პირობებში ჩატარდა და ბრძნულად დაადგინეს... მისი გადათამაშება. რაღა თქმა უნდა, მატჩი გადაათამაშეს. თბილისის დინამოელებს წინასწარვე ცხადად და არაორაზროვნად აგრძნობინეს, რომ მათი ყოველივე ცდა ამაო იქნებოდა, რომ ისინი განწირულნი იყვნენ, ამიტომაც ხელმეორე მატჩის შედეგიც თავისთავად დაპროგრამებული გახლდათ, იგი ეჭვს არ იწვევდა: გაიმარჯვა „ტორპედომ" — 4:1.

საბოლოოდ მოხდა ის, რაც „მაღალ ინსტანციას" ასე სწადდა: სსრ კავშირის ჩემპიონობა იმ წელს მოსკოვის „სპარტაკმა" მოიპოვა, ხოლო თბილისელებმა მეორე ადგილი დაიკავეს. ეს იყო სპორტული უსინდისობის, უკანონობის აღმაშფოთებელი ფაქტი.

დაახლოებით ასეთივე ამბავი მოხდა კიდევ უფრო ადრეც, 1940 წელს. თბილისის „დინამო" მაშინაც, საკავშირო ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე, პირველი ადგილის რეალური პრეტენდენტი იყო, სწორედ იმ პერიოდში თბილისელებს მეტად საპასუხისმგებლო მატჩი ჰქონდათ სტალინგრადის „ტრაქტორთან", მაგრამ იმ გადამწყვეტი თამაშის არბიტრად დანიშნეს... ადგილობრივი, სტალინგრადელი მსაჯი. „ობიექტურმა კაცმა", რა თქმა უნდა, დაუფარავი მიკერძოებით იმსაჯა და სტალინგრადელთა მიერ აშკარა თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი ბურთი გოლად ჩათვალა. თბილისელებმა მატჩის შედეგი გააპროტესტეს, მაგრამ პროტესტი ფარატინა ქაღალდად ჩაითვალა, იგი მხედველობაში არავის მიუღია და ჩემპიონიც მოსკოვის „დინამო" გახდა. თბილისელები მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

ეს — უკანონობანი თბილისის „დინამოს" მიმართ. ახლა — სხვაც მოვუყვეთ. ფეხბურთის მოყვარულებს, ალბათ, ახსოვთ, რომ 1940 წელს საკავშირო ჩემპიონატში „ა" კლასში (უმაღლესი ლიგა) 14 გუნდს შორის გამოდიოდა თბილისის „ლოკომოტივიც". სიმართლე რომ გითხრათ, ლოკომოტიველებს გათამაშებაში ხეირიანი მაჩვენებლები არ ჰქონდათ, ასეთი ამბები საკავშირო ჩემპიონატებში ხშირად ხდება, სხვა გუნდებსაც ცუდი შედეგები ჰქონდათ. მაგრამ გაოცებას იწვევს ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის მაშინდელი გადაწყვეტილება: მან ზედ შუა სეზონში მოხსნა ჩვენი გუნდი გათამაშებიდან და, საერთოდ, დაიშალა კიდეც თბილისის „ლოკომოტივი" ავტორიტარული უფლებით. მსგავსი რამ საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში არ მომხდარა.

50-იანი წლების დასასრულს ძალზე ძლიერი იყო თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელთა გუნდი, რომელსაც ორჯერ მიეცა უმაღლეს ლიგაში გადასვლის საშუალება, მაგრამ საკავშირო ჩემპიონატების დებულებაში სწორედ მაშინ ისეთი ცვლილებები შეიტანეს, რომ თბილისის არმიელთა გუნდს მაინც არა და არ მისცეს უმაღლეს ლიგაში გადასვლის საშუალება.

ფეხბურთის მოყვარულებს არ დაავიწყდებათ 1960 წლის საკავშირო ჩემპიონატის დაუვიწყარი ფინალური მატჩი ყინულიან მინდორზე მოსკოვის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" შორის. მატჩის არბიტრად დანიშნეს კიეველი ა. ცაპოვეცკი. თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობამ ადრევე მოითხოვა ა. ცაპოვეცკის შეცვლა, იგი რომელიმე მოსკოველი არბიტრის მსაჯობის ყაბულიც კი იყო, მაგრამ მატჩი მაინც ა. ცაპოვეცკიმ იმსაჯა. იმსაჯა არაობიექტურობის უმაღლეს „ნოტაზე" და თავისი გაიტანა კიდეც: დამატებით დროში გაიმარჯვა მოსკოვის „ტორპედომ" — 4:3.

გ. ტორაძეს მოჰყავს ჩვენი ცნობილი ფეხბურთელის სპარტაკ ჯეჯელავას ნაამბობი მოსკოვის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" 1947 წლის საკავშირო თასის მატჩის თაობაზე: „— მაშინ საუკეთესო ფორმაში ვიყავით და პირველი ტაიმი მოვიგეთ კიდეც — 1:0. შესვენებისას სამსაჯო ოთახში ვეება ამალის თანხლებით შემოიჭრა საკავშირო ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ჟდანოვი და მატჩის მსაჯს ტალინელ ე. საარს მკვახედ მიმართა: „ამხანაგო საარ! ჩემი აზრით, თბილისელები ძალზე უხეშად თამაშობენ და ამის გამო მაყურებლები აღშფოთებულნი არიან. თქვენ უნდა გადამჭრელ ზომებს მიმართოთ".

ცენტრალური კომიტეტის მდივნის სიტყვები რასაც ნიშნავდა, ყველამ კარგად იცოდა. ე. საარმა მეორე ტაიმში ყოვლად გაუმართლებელი პენალტი დანიშნა ჩვენს კარში, მე ტრავმა მომაყენეს და მინდვრიდან საკაცით პირდაპირ საავადმყოფოში წამიყვანეს, ასევე მძიმედ დააშავეს ბორის პაიჭაძე, რომელსაც თამაში უკვე აღარ შეეძლო და უქმად იდგა მარცხენა ფრთაზე. თუ ვინ თამაშობდა უხეშად, ყველასათვის ნათელი იყო. ა. ჟდანოვის განკარგულების შესაბამისად ჩვენ დავმარცხდით..."

გ. ტორაძის წერილიდან ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი მოვიყვანეთ, მისი მთლიანად წაკითხვა კი, ვიმეორებთ, დაინტერესებულთ ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიის" წლევანდელ მე-7 ნომერში შეეძლებათ.

**ზ. ქორქია.**

# ჩოგბურთელთა ახალი ტურნირი

**პალერმო** (იტალია). პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში 20-24 სექტემბერს იუნიორ ჩოგბურთელთა მსოფლიო თასის (ფაქტიურად მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი) ფინალური ტურნირი გაიმართება. მანამდე კი ჩატარდა რამდენიმე ზონალური შეჯიბრება.

ევროპის ზონაში, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის, გამარჯვება საბჭოთა ჩოგბურთელებმა მოიპოვეს. ეს შეჯიბრება პალერმოში ჩატარდა, იუნიორებმა (სერგეი პოსპელოვი, ანდრეი მედვედიევი და სარქის სარქისიანი), განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები ძლიერ მეტოქეებთან და ორივეში გამარჯვება მოიპოვეს, დასავლეთგერმანელებთან — 2:1, შვეციასთან — 2:0.

ასევე გამარჯვება და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ქალებმა — სვეტლანა კომლევამ, მარია ჩირიკოვამ და ელენა მაკაროვამ.

# ფავორიტები — მოწოდების სიმაღლეზე

**ლიონი.** ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატი უსიურპრიზებოდ ტარდება. ყოველ შემთხვევაში ოქროს მედლებს, როგორც წესი, ფავორიტები ეუფლებიან. თუმცა ერთი, მეტ-ნაკლებად საგულისხმო ფაქტი მაინც მოხდა სპრინტერ ვაჟთა შეჯიბრებაში. მაგრამ ეს, პირველ ყოვლისა, გამოწვეული იყო იმით, რომ ასპარეზობაში მონაწილეობა ვერ მიიღო მსოფლიოსა და ოლიმპიურ თამაშების მრავალგზის ჩემპიონმა გდრ-ის წარმომადგენელმა ლუც ჰესლიჰმა (იგი ტრავმის გამო ლიონში არც ჩასულა).

ამის მიუხედავად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ველოსიპედისტებს პოზიციები არ დაუთმიათ. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ამ ქვეყნის წარმომადგენლები ბილ ჰუკი და მსოფლიოს ექსჩემპიონი მიჰაელ ჰიუბნერი. ამ უკანასკნელს უკვე კარგა ხანია ჰესლიჰის „ჩრდილად“ თვლიან და ჩემპიონის არყოფნა მნიშვნელოვნად ზრდიდა ვიცეჩემპიონის შანსებს ოქროს მედლისთვის ბრძოლაში. მაგრამ ფინალურ სერიაში მისმა ახალგაზრდა მეტოქემ (ჰუკმა) შეძლო ძალების მობილიზება და პირველად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი.

ბრინჯაოს ჯილდოს სპრინტში 24 წლის მოსკოველი ნიკოლოზ კოვში (სსრ კავშირი) დაეუფლა. ამ შედეგს სპეციალისტები წარმატებად მიიჩნევენ.

ქალთა სპრინტში ერთხელ კიდევ დამტკიცდა ტალინელი ერიკა სალუმიაე-ფისკერის უდავო უპირატესობა, ისევე როგორც ორი წლის წინ ვენაში, სალუმიაე ამჯერადაც უძლიერესი იყო. ვერცხლის მედალი წილად ხვდა უზერებელ ლენინგრადელს, 31 წლის გალინა ენიუხინას. კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა სახელგანთქმული დანიელ მორელონის მოწაფე იზაბელ გოტერონი, რომელმაც გადამწყვეტ სერიებში დაამარცხა ველოსპორტის ვეტერანი, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი, ლენინგრადელი გალინა ცარიოვა.

ვაჟთა ინდივიდუალურ რბოლაში 4 კილომეტრზე სამწლიანი შესვენების შემდეგ ჩემპიონის სახელი დაიბრუნა 23 წლის ვიაჩესლავ ეკიმოვმა, ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტმა მესამედ მოიპოვა მსოფლიოს უძლიერესის წოდება. ახლა იგი თავს ანებებს სამოყვარულო სპორტს და პროფესიონალებში გადადის. ეკიმოვთან მოლაპარაკება აქვთ აშშ-ის, იტალიის, საფრანგეთის, ბელგიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს.

ამავე სახეობაში, ოღონდ 5 კილომეტრიან დისტანციაზე, პროფესიონალთა შორის უძლიერესი იყო ინგლისელი კონი სტრეჯესი.

ჩემპიონატის დღეებში გაიმართა ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის კონგრესი, რომელმაც ხელმძღვანელი ორგანოები აირჩია. პრეზიდენტად ზედიზედ მესამედაა არჩეული ესპანელი ლუის პუჩი, ვიცე-პრეზიდენტებად — ვალერი სისოევი (სსრ კავშირი), ჰექტორ გალე (ბელგია) და ვერნერ გოუნერი (გფრ). სისოევი, ამავე დროს, მოყვარულ ველოსიპედისტთა საერთაშორისო ფედერაციის (ფიაკ-ი) პრეზიდენტია, პროფესიონალთა ორგანიზაციას (ფისპ) კვლავინდებურად ჰოლანდიელი ჰაინ ვერ ბრუგენი უხელმძღვანელებს.

# „მშვიდობიანი“ [illegible]

**ოთხი** ტურის შემდეგ სამი პარტია ჰქონდა გადადებული დასავლეთგერმანელ დიდოსტატს რობერტ ჰიუბნერს შვეციის ქალაქ შელეფტეოში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის I გათამაშების VI ეტაპზე. მან საოცარი „მშვიდობისმოყვარეობა“ გამოავლინა და თავის სამივე მეტოქეს დაუზავდა — ანდერსონსა (I ტურის გადადებული პარტია) და კასპაროვს (III ტური) შავებით, ხოლო სალოვს (IV ტური) — თეთრი ფიგურებით. სხვათა შორის, ჰიუბნერმა II ტურის პარტიაშიც გაიყო ქულა საქსთან ორთაბრძოლაში. ყაიმით დამთავრდა ანდერსონ—ტალის III ტურის გადადებული პარტიაც.

4 ტურის შემდეგ გარი კასპაროვსა და ვალერი სალოვს 3-3 ქულა აქვთ, ლაიოშ პორტიშსა (უნგრეთი) და იან ელვესტს — 2,5-2,5, ულფ ანდერსონს (შვეცია), ანატოლი კარპოვს, ჯონ ნანს, ნაიჯელ შორტს (ორივე — ინგლისი), პრედრაგ ნიკოლიჩს (იუგოსლავია), დიულა საქსს (უნგრეთი), რობერტ ჰიუბნერსა და იასერ სეირავანს (აშშ) — 2-2.



# ცნობები ლაგოსიდან, ლისაბონიდან, რომიდან, რიო-დე-ჟანეიროდან, ტურინიდან, მალმედან

(დასასრული)

გამოდის. შარშანდელთან შედარებით წლეულს ფასები შესამჩნევად გაიზარდა, პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან მდიდარი კლუბები „ინტერი“, „მილანი“, „იუვენტუსი“ და სხვანი.

იტალიის კლუბებში განსაკუთრებით ბევრია სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი. აქ გამოდის 11 არგენტინელი და 10 ბრაზილიელი მოთამაშე.

**რიო-დე-ჟანეირო.** ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალური პროტესტი შეიტანა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში ჩილისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩთან დაკავშირებით. ეს თამაში სანტიაგოში შედგა, ბრაზილიის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ კოლუმბიელი არბიტრი დიას ბალაჩიო არაკვალიფიციურად, მიკერძოებით სჯიდა, გარდა ამისა, მატჩის დროს სტადიონზე შოვინიზმისა და ნაციონალიზმის აუტანელი ატმოსფერო სუფევდა.

— ელექტროტაბლო მთელი მატჩის მსვლელობაში გულშემატკივრებს მტრულად განაწყობდა ჩვენს მიმართ, — განაცხადა ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ს. ლაზარონიმ, — ბრაზილიელი ფეხბურთელები უმძიმეს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ნერვულობას წესრიგის დარღვევებიც მოჰყვა: ორი ფეხბურთელი მინდვრიდან გააძევეს, რვას ყვითელი ბარათი უჩვენეს.

სტადიონიდან გამოსვლის დროს ს. ლაზარონის თავს დაესხნენ პოლიციელები, უხეშად ჰკრავდნენ ხელს, შემდეგ ფიზიკური შეურაცხყოფაც მიაყენეს.

— ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ყურადღებით უნდა განიხილოს ჩვენი პროტესტი, — მიაჩნია ს. ლაზარონის, — ასეთი რამ მომავალში არ უნდა განმეორდეს, ეს ხელს უშლის ფეხბურთის საერთო განვითარებას.

ბრაზილიელთა მწვრთნელმა განაცხადა, რომ საპასუხო მატჩი 20 აგვისტოს შედგება სან-პაულუში, მას თავისი გუნდის გამარჯვებისა მტკიცედ სჯერა, მაგრამ მიაჩნია, რომ საქმე მარტო მოგება-წაგებაში არაა, ბრაზილიელებმა უნდა ითამაშონ ისე, როგორც ეს ჭეშმარიტ სპორტსმენებს შეჰფერის.

**ტურინი.** სსრ კავშირის ნაკრებისა და მინსკის „დინამოს“ ფეხბურთელი სერგეი ალეინიკოვი იტალიაში ჩავიდა. მილანის აეროპორტში მას დახვდნენ „იუვენტუსის“ წარმომადგენლები, რომლებიც აქ საგანგებოდ ჩამოვიდნენ. ს. ალეინიკოვმა „იუვენტუსში“ უნდა ითამაშოს, ჯერჯერობით კი იგი ინდივიდუალური წესით ივარჯიშებს. მას მეთვალყურეობს იტალიის ნაკრების ფეხბურთელი შირეა.

**მალმე.** შვეციის ამ ქალაქში გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. შვეციისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდების შეხვედრაში გამარჯვება ფრანგმა ფეხბურთელებმა მოიპოვეს — 4:2, თუმცა დასაწყისში წინ იყვნენ მასპინძლები — 1:0. გამარჯვებულთაგან 2-2 ბურთი გაიტანეს კანტონამ და პაპენმა.

# „მერანი“ № 18

**გამოვიდა** გაზეთ „ლელოს“ საჭადრაკო დამატება „მერანის“ მორიგი, მე-18 ნომერი.

დამატების პირველ გვერდზე რედაქცია ულოცავს ჩვენში მსოფლიოს ყველაზე ნორჩ ჩემპიონს დიანა დარჩიას დიდ წარმატებას, რომელიც მან ამას წინათ პუერტორიკოში მოიპოვა 12 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობაზე.

ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს მოსწავლე მოჭადრაკეთა ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა საკავშირო გუნდურ პირველობაში და II ადგილს დაეუფლა. სწორედ ამ ტურნირს მიმოიხილავს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი.

„ოცნებას კაცი არ მოუკლავს...“ ასე დაასათაურა თავისი წერილი დიდოსტატმა ნანა იოსელიანმა. როგორც იცით, იოსელიანი ამ დღეებში დაბრუნდა შვეიცარიიდან, სადაც ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში საპატიო III ადგილი დაიკავა. „მერანის“ მე-18 ნომერში დიდოსტატი ამ შეჯიბრების შესახებ მოუთხრობს მკითხველს.

ჟურნალისტი გიგლა გობეჩია დამატების მკითხველებს სთავაზობს ვრცელ ნარკვევს პირველი ქართული საჭადრაკო წიგნის ავტორზე, შესანიშნავ მოღვაწესა და ადამიანზე, უსაფუძვლოდ რეპრესირებულ, ხოლო შემდეგ რეაბილიტირებულ მიხეილ საყვარელიძეზე.

„მერანის“ ამ ნომერში მკითხველი კიდევ ბევრ საინტერესო ინფორმაციას გაეცნობა.

# „სპორტპროგნოზი“

**33-ე ტირაჟის შედეგები**
**(13-16 აგვისტო)**

1—X, 2—1, 3—1, 4—1, 5—X, 6—2, 7—1, 8—1, 9—1, 10—1, 11—2, 12—1, 13—X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

წიგნის თარო

# ბესკოვი. ლობანოვსკი. პელე...

**ამ** ბოლო დროს გულშემატკივართა წიგნის თაროებზე ერთიმეორის მიყოლებით გაჩნდა შესანიშნავი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების: მიხაილ იაკუშინის, ნიკიტა სიმონიანის, კონსტანტინ ბესკოვის, ვალერი ლობანოვსკის, ფეხბურთის მეფის — პელეს წიგნები. პირველი ორი წიგნის შესახებ ჩვენ უკვე ვიუწყებოდით. დღეს გთავაზობთ კიდევ სამი გამოცემის მოკლე რეცენზიას.

„აუტანელი“ ბესკოვი“ — ასე დაარქვა ჟურნალისტმა ალექსანდრ ნილინმა თავის ნაშრომს ამ პოპულარულ ფეხბურთელსა და გამოცდილ სპეციალისტზე. იგი გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტმა“ გამოუშვა კოოპერატივ „პრესო-ფის“-ის დახმარებით 300 ათასი ტირაჟით.

ავტორი საკმაოდ ბევრ ქებადიდებას ასხამს კონსტანტინ ბესკოვს, ამასთან, „გზადაგზა“ დაუზოგავად აკრიტიკებს კიდეც. მიუხედავად ამისა, არაგულწრფელობას ა. ნილინს ვერ დასწამებ — წიგნი ინტერესით იკითხება, ბევრ დეტალს ხდის ფარდას.

ამბობენ, ბესკოვს იმდენად არ მოსწონებია ეს წიგნი, რომ განრისხებულს სასამართლოშიც კი განუზრახავს ავტორის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრა. ამას წინათ მოსკოვში, „დინამოს“ სტადიონზე













ლევ იაშინისადმი მიძღვნილი მატჩის შემდეგ ბესკოვი სტადიონიდან გამოდიოდა და უეცრად თვალი მოჰკრა იქვე ჩრდილოეთი ტრიბუნის მხარეს როგორ ყიდდნენ სახელდახელო დახლზე ამ წიგნებს. ბესკოვმა დაუფარავი ზიზღით, დამცინავი მზერით შეხედა წიგნების გროვას და შეუჩერებლივ გასცილდა იქაურობას.

მეორე წიგნის „დაუსრულებელი მატჩის“ ავტორია კიევის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი (ლიტერატურული ჩანაწერი ალექსანდრ გორბუნოვის). ნაშრომი გამოიცა სერიით „სპორტს განკუთვნილი გულები“.

როგორც ავტორი წერს წინასიტყვაობაში, ეს არ არის მისი ავტობიოგრაფია, არამედ კარგი შესაძლებლობაა გამოთქვას საკუთარი აზრი ფეხბურთზე, დამოკიდებულება ამ პოპულარული თამაშისადმი, გვიამბოს მშობლიურ გუნდზე, მის ფეხბურთელებზე, ბოლო დროის მნიშვნელოვან სპორტულ ასპარეზობებზე. სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ლობანოვსკის (მისი ხელმძღვანელობით კიევის „დინამო“ შვიდჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ხუთჯერ მოიგო საკავშირო თასი, ორჯერ — თასების თასი, ერთხელ — სუპერთასი) წიგნი 150 ათასი ტირაჟით გამოვიდა.

და ბოლოს, ხელთა გვაქვს სულ ახლახან დასტამბული მშვენიერი წიგნი — „პელე — ჩემი ცხოვრება და მშვენიერი თამაში“. მისი ტირაჟია 100 ათასი ეგზემპლარი, მაგრამ „პელე“, ცხადია, სპორტული წიგნის მოყვარულებმა გამოსვლისთანავე დაიტაცეს.

„ჩემი სანუკვარი ოცნებაა, რათა მთელი მსოფლიოს ბავშვებმა ინტერესით წაიკითხონ ეს წიგნი და ჩემი ცხოვრების ბედ-იღბალს გაეცნენ, სიხარულით ეზიარონ ფეხბურთს, ამ მშვენიერ თამაშს, და არა მარტო ფეხბურთს — ნებისმიერ სხვა სპორტის სახეობას“ — წერს პელე.

„ფეხბურთის მეფე“ 1940 წლის 23 ოქტომბერს დაიბადა ბრაზილიის მინას-ჟერაისის შტატის პატარა ქალაქ ტრეს-კორასაესში. ბავშვობაში მას ყველა დიკოს ეძახდა. იმის შესახებ, თუ როგორ იქცა პატარა დიკო სახელგანთქმულ პელედ — „სანტოსის“ კლუბის, ბრაზილიისა და მსოფლიოს უძლიერეს, ყველაზე პოპულარულ ფეხბურთელად, სამგზის მსოფლიო ჩემპიონად, მსოფლიოს სიმბოლური ნაკრების წევრად — ყოველივე ამის შესახებ წაიკითხავთ ზემოხსენებულ წიგნში, ცხადია, თუ ბედი გაგიღიმებთ და ხელში ჩაიგდებთ მას.

**ოთარ ნოზაძე.**

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე.**

**ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების I კურსის სტუდენტთა საყურადღებოდ**

ინსტიტუტის რექტორატი გაცნობებთ, რომ ადრე გამოცხადებული 4-დღიანი (დადგენით-მიმოხილვითი) მეცადინეობები ძალაში რჩება. მეცადინეობები ჩატარდება 27, 28, 29 და 30 აგვისტოს.

**რექტორატი.**


**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

**1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20** **უე 00381**